

ბიზნესის განწყობის ინდექსი

4.4


გაზრდა

საფინანსო და სამშენებლო სექტორები საგაზაფხულო განწყობის გარეშე!

II კვ 2019

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




27



60

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუმჯობესდა და 27.0 პუნქტამდე გაიზარდა, რაც 4.4 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ბიზნესის განწყობის ინდექსის ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა საცალო ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორში. ვაჭრობის სექტორის აღნიშნული ზრდა უკავშირდება მიმდინარე საქმიანობის დადებით შეფასებას, მაშინ როცა მრეწველობის სექტორისთვის ზრდის მთავარი ფაქტორი პოზიტიური მოლოდინები იყო.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას ასახავს, 2019 წლის მეორე კვარტალში 1.4 პუნქტით არის შემცირებული.
- ბიზნესის ოპტიმიზმის ინდექსი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბოლო სამი კვარტლის განმავლობაში ზედიზედ შემცირების შემდეგ, და 45.5 პუნქტს შეადგენს. მრეწველობის სექტორთან ერთად, საცალო ვაჭრობამ და მომსახურებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის გაზრდილ ოპტიმიზმში. მშენებლობისა და საფინანსო სექტორებში მოლოდინები მნიშვნელოვნად არის შემცირებული.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ზომიერად გაზრდილია. საცალო ვაჭრობა, მომსახურება და სოფლის მეურნეობა შემდეგ კვარტალში ფასების ზრდას ელოდნენ, მაშინ როცა სხვა სექტორებში სავარაუდოა ფასების იმავე დონეზე შენარჩუნება, რაც წინა კვარტალში იყო.
- მოლოდინები და მიმდინარე მდგომარეობა გაუმჯობესებულია დიდი ზომის კომპანიებისთვის, ხოლო შემცირებულია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის.
- საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორად დიდი ბიზნესი ფინანსებზე ხელისაწვდომობას ასახელებს, მცირე და საშუალო ბიზნესი კი – მოთხოვნის სიმცირეს.

(* ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).



ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა



| სექტორი | კვ II/19 | ცვლილება | ცვლილება |
|-------------------|----------|----------|----------|
| მრეწველობა | 15.2 | ▲ | 14.8 |
| მშენებლობა | -3.2 | ▼ | -27.9 |
| ვაჭრობა | 36.0 | ▲ | 16.6 |
| მომსახურება | 35.9 | ▲ | 9.2 |
| სოფლის მეურნეობა | 14.1 | ▲ | 0.9 |
| საფინანსო სექტორი | 17.5 | ▼ | -24.5 |
| სხვა | 8.9 | ▲ | 0.9 |

მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის მთავარ შემზღვეველ ფაქტორებად სახელდება, მაშინ როცა დიდი ზომის კომპანიები ძირითადად ფინანსებზე ხელმისაწვდომას და კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობას ასახელებენ.

ბიზნეს საქმიანობის შემზღვეველი ფაქტორები II კვარტალი, 2019 წელი

